



# შირაკი

## SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (9.769)

25 თებერვალი-4 მარტი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მეგენახეობის  
კოოპერატივების  
ხელშეწყობის  
სახელმწიფო  
პროგრამაში  
რეგისტრაცია  
დაიწყო

მმ.2

## საკადრო ცვლილება



მმ.3

## ხელოვნების სკოლაში

სამკვლევო  
აქცია  
სათნოების  
სახლში



მმ.3-8



მმ.4

შამოდინოლა  
სიკვდილი  
ცალით...



მმ.5-6

„მჯერა  
იმის, რომ  
საქართველო  
გახდება  
ევროპული  
ქვეყანა“

ქვირადღობის  
კაკლის - ფისტას  
ნერგები მსურველებს  
უფასოდ გადაეცემა


მმ.6

ფისტას ნერგი მინდა?

თუ შენ ნაკვეთში ფისტას  
ღარგვა და დატესტვა  
გაინტერესებს,  
ნერგის მიღება  
უფასოდ შეგიძლია.



ჩემოდანში ქალი იჯდა“ - თურქეთის  
საზღვარზე საქართველოს მოქალაქე  
დააკავეს, რომელიც ჩემოდანში იმალებოდა



მმ.2



## „კახეთის საათი“



„ოზიანობა“

ახალი დროით

კვირა 12:30

# ფარულ მოსმენა- მიყურადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი მეორე მოსმენით მიიღეს

პარლამენტმა ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი მეორე მოსმენით მიიღო. პაკეტის ძირითად კანონპროექტს - "ოპერატიული ტექნიკური სააგენტოს შესახებ" 84 ხმით, 5-ის წინააღმდეგ დაუჭირეს მხარი.

მანამდე კენჭი უმცირესობის ალტერნატიულ საკანონმდებლო წინადადებებს ეყარა, რაც პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით ჩააგდო.

პარლამენტმა, პლენარული სხდომის ფორმატში, ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის მეორე მოსმენით განხილვა დღეს დაიწყო და დღესვე დაასრულა.

განხილვის პროცედურის გამო, უმცირესობამ სხდომაში მონაწილეობა არ მიიღო. საქმე ის არის, რომ მეორე მოსმენით განხილვა წარმართა არა მუხლობრივად, არამედ თავების მიხედვით, რასაც უმცირესობის პროტესტი მოჰყვა.

# მევენახეობის კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია დაიწყო

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყო. მსურველებს დარეგისტრირება თბილისში ჩაუვლევად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე (ავტო.გოვ.გე) 21 მარტამდე შეუძლიათ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოოპერატივს 100 ტონა ყურძნის პირველადი გადაამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა გადაეცემა, ხოლო კოოპერატივმა - სანარმოს მენობა-ნავებობის მოწყობა უნდა უზრუნველყოს.

მათივე ინფორმაციით, მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის დადგენილი პირობებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ან/და მის მეპაიეებს საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 20 ჰა ფართობი ვენახი, რომელშიც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: რქანთელი, საფერავი, კახური მწვანე, ხიხვი, ქისი, გორული მწვანე, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, უსახელოური, მუჯურეთული, წულუკიძის თეთრა (რაჭული).

სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ტექნიკურ დახმარებასაც, რომლის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ჩაუტარდებათ სწავლება როგორც ღვინის სანარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

პროგრამაში მონაწილე კოოპერატივის წევრებს საშუალება ეძლევათ სარგებელი ყურძნის რეალიზაციის გარდა, უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა საპილოტეა და მის ფარგლებში არანაკლებ 3 ერთეული სანარმოსთვის საჭირო აღჭურვილობა გაიცემა. პროგრამის ბიუჯეტი 1 მილიონ ლარს შეადგენს.

# საპატრიარქოს სახელით განცხადებებს დეკანოზი დავით შარაშენიძე გააკეთებს

უწმინდესის კურთხევით საპატრიარქოს სახელით განცხადებებს დეკანოზი დავით შარაშენიძე გააკეთებს, - ამის შესახებ დეკანოზმა ჟურნალისტებს თავად განუცხადა.

დავით შარაშენიძე საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსის თანამდებობაზე რჩება. დეკანოზის განმარტებით, მას არ შეუცვლია მამა მიქაელ ბოტკოველი, რომელიც პატრიარქის მდივანი იყო და საპატრიარქოს სახელით განცხადებებს აკეთებდა.

საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მედიასთან საპატრიარქოს განაცხადებებს პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი აკეთებდა, თუმცა მამა მიქაელ ბოტკოველმა გუშინ საღამოს გააკეთა განცხადება, რომ საპატრიარქოს მდივნის მოვალეობას ტოვებს.

# ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში კიდევ ერთი ახალი ბაღი გაშენდა

შპს „ვაზი-1“-მა პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში კახეთის რეგიონში კაკლის ბაღი გააშენა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროგრამის „დანერგე მომავალი“ მეწევრმა ლევან დოლიძემ და კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა, თელავის რაიონში, სოფელ ჯუღანაში დაათვალიერეს პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი ბენეფიციარის, შპს „ვაზი-1“-ის ბაღი, რომელიც პროგრამაში 2015 წელს ჩაერთო და 11.77 ჰექტარზე კაკლის ბაღის გაშენებისთვის და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 57 801 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. მიღებული დაფინანსებიდან 36 569 ლარი ნერგებისთვის, ხოლო 21 232 ლარი წვეთოვანი სისტემებისთვის იყო განკუთვნილი, - აცნობეს მედიანისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროდან.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში კახეთის რეგიონში სულ 1 005.13 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა მრავალწლიანი კულტურის სხვადასხვა ხეხილის ბაღები, ხოლო გაცემულმა დაფინანსებამ შეადგინა 4 212 696 ლარი. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენებული ფართობი დღეის მონაცემებით შეადგენს 3 017.57 ჰექტარს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 14,4 მილიონ ლარს აღემატება.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „ანარმოე საქართველოში - სწრაფი განვითარებისთვის“ ფარგლებში, ახორციელებს „ერთიანი აგროპროექტს“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

# ჩემოდანში ქალი იჯდა“ - თურქეთის საზღვარზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელიც ჩემოდანში იმალებოდა



თურქეთის პოლიციამ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან, ართვინის პროვინციაში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა. ისინი მამინ დააკავეს, როდესაც მამაკაცს 28 წლის ქალბატონი საზღვარზე ჩემოდნის საშუალებით გადაჰყავდა.

პოლიციის თანამშრომლებმა ბარგი საეჭვოდ მიიჩნიეს და მფლობელს მისი გახსნა მოსთხოვეს. გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასში ქალბატონი იჯდა.

ექვმიტანბეზმა საზღვარი სარფში გადალახეს, თუმცა ისინი ჰოფაში აიყვანეს. დაკითხვისას გაირკვა, რომ ქალბატონის დეპორტაცია თურქეთიდან სამი თვის წინ განხორციელდა, ვიზის მოქმედების გასვლის მიზეზით.

სამი დღის წინ თურქეთში მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა. ართვინში პოლიციამ ადამიანი იპოვა, რომელიც საზღვრის გადასალახად ჩემოდანში იმალებოდა. აყვანილების ვინაობას თურქეთის პოლიცია არ ასახელებს.

# ქართული წიგნები იტალიაში

ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში, რომსა და მილანში ქართული წიგნის კუთხეები და სამკითხველო უახლოეს მომავალში გაიხსნება, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ეროვნული ბიბლიოთეკიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ უახლესი ქართული გამოცემები უკვე ჩაიტანა იტალიაში და რომის სამრევლოს გადასცა, წიგნების ნაწილი კი მილანში გადააგზავნეს.

რომში ქართული სამკითხველო იქნება. ქართული სამკითხველო იქნება მილანშიც. მაგლობა სამრევლოს, მაგლობა „ინექსფონს“ და „ინტელექსპრესს“, - განაცხადა გიორგი კეკელიძემ.

წიგნების შექმნისა და ტრანსპორტირების ხარჯები ჰოლდინგმა „ინტელექსპრესმა“ და კომპანია „ინექსფონმა“ უზრუნველყო.

ინბა ბასიშვილი, იტალიაში მცხოვრები ქართველი - მაგლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ბატონ გიორგი კეკელიძეს, რომელმაც რომის და მილანის სამრევლოს ბიბლიოთეკას ასეულობით წიგნი გადასცა საჩუქრად. და, რაც ყველაზე მთავარია, წიგნებში უამრავი საბავშვო ლიტერატურაც ყოფილა, რაც დიდად შეუწყობს ემიგრაციაში მყოფი ოჯახების ბავშვებს მშობლიური ენის არდავიწყებაში. რაც უნდა მიხედა მოსამშენი იყოს, ემიგრანტთა რიცხვი მატულობს და ეს ძვირფასი ღვანლი ქართველი ემიგრანტებისადმი ისტორიაში დარჩება. ულმესი მაგლობა მილანის წმიდა თამარ მეფის სახ. სამრევლოს წინამძღვარს, არქიმანდრიტ კირიონს, (მაჩიძე) ჩვენს უთბილეს მოძღვარს და, ჩვენს უსათნოეს გულანთებულ ქართველ მეგობარს, ნათია ტულუშს, რომელთა აქტიური ხელშეწყობითაც ეს საგანძური ჩვენამდე მოვიდა. ჩემო გიორგი, ვიცოდი რომ მოდიოდი და ვერ შეგებედი მომენერა. ამ საღამოს კი ნათიას ვესაუბრე ტელეფონით და სიხარულის ცრემლი მედგა თვალებზე, ტანში კი ჟრუნტელი მივლდა... პირადად ნათიამ მანამდეც იზრუნა და ბევრი წიგნი ჩამოგიტანა. მივესალმები ამ დიდებულ წამოწყებას და მიხარია, რომ ამ დღეებში გიორგის „გურულ დღიურებს“ მივეყვებით...

# ძვირადღირებული კაკლის - ფისტას ნერგები მსურველებს უფასოდ გადაეცემა

პროექტის „ფისტა ჩვენს ოჯახში“ ფარგლებში ბენეფიციარებს ძვირადღირებული კაკლის - ფისტას ნერგები უსასყიდლოდ დაურიგდებათ. დაინტერესებულმა პირებმა „საქართველოს ფისტას ასოციაციის“ სარეგისტრაციო ფორმა უნდა შეავსონ, რის შემდეგაც ასოციაცია განიხილავს და გადაწყვეტს, ვისზე გასცეს ნერგი. პრიორიტეტი იმ რეგიონში მცხოვრებ განმცხადებლებს ენიჭებათ, სადაც ფისტას ნერგების ნაკლები რაოდენობაა დარგული.

„საქართველოს ფისტას ასოციაციის“ ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში 3-3 ნერგი გაიცემა. საქართველოში ჯამში ფისტას 10 ათასამდე ნერგი უნდა დარიგდეს.

„პროექტი „ფისტა ჩვენს ოჯახში“ გასულ წელს დაიწყო და 900-მდე ნერგი უკვე გავიცით. მიმდინარე წლის განაჯანსაღო მსურველები კვლავ შეძლებენ ფისტას ნერგები უსასყიდლოდ მიიღონ. სარეგისტრაციო ფორმის შევსების შემდეგ, ასოციაცია განიხილავს და გადაწყვეტს, ვისზე გასცეს ნერგი. პრიორიტეტი იმ რეგიონში მცხოვრებ განმცხადებლებს ენიჭებათ, სადაც ფისტას ნერგების ნაკლები რაოდენობაა დარგული“, - განაცხადა „საქართველოს ფისტას ასოციაციამ“.

ფისტის (იგივეა რაც ფისტა) ხე მშრალ ნიადაგზე, ნახევარუდაბნოს პირობებში ხარობს. ვერ იზრდება თხინარსა და ქაობიან ნიადაგზე. უძლებს - 40 გრადუს ცინვას და +50 გრადუსამდე სიცხეს. ცოცხლობს 250-300 წელი.

ფსტა (ლათ. ჟისტაცია) - მცენარის გვარი თუთუბო-სებრთა ოჯახისაა. გვარში 20 სახეობაა, ბუჩქები და ხეები. ველურად იზრდება საკმლის ხე ანუ კევის ხე (ლათ. ჟისტაცია მუტიცა), რომელიც საქართველოშიც გვხვდება, დიდი რაოდენობით ვაშლოვანის ნაკრძალში. მრავლდება თესლით მცნობით, საძირედ იყენებენ საკმლის ხის ნერგებს. გვალგამძლეა, ძვირფასი ნაყოფი აქვს. მერქანს სახარატო საქმეში იყენებენ. პერსპექტიულია აღმოსავლეთ საქართველოს, თბილისის მშრალ ადგილებში.

ფისტა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული კაკალია, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნებში მზარდი მოთხოვნაა. თბილისის სუპერმარკეტებში 100-გრამიანი „ფისტაშას“ ფასი დაახლოებით 5-დან 6.50 ლარამდე მერყეობს.

„საქართველოს ფისტის ასოციაცია“ 2016 წლის მაისში დაფუძნდა. ასოციაციის მიზანია საქართველოში ფისტას კულტურის დანერგვის ხელშეწყობა და მოსახლეობისთვის მისი მრავალმხრივი უპირატესობის გაცნობა.

# საკადრო სვლილვა ხელოვნების სკოლაში

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დირექტორმა მარიამ კიკილაშვილმა თანამდებობა დატოვა. ბათავისუფლების თხროვით კიკილაშვილმა დედოფლისწყაროს გამგეობის კულტურის, სპორტის, კიბელთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს განაცხადებით მიმართა. ყოფილი დირექტორი თანამდებობის დატოვების მიზეზად დროის დეფიციტს ასახელებს. იგივე მიზეზი ჩანს ასევე - განმარტებით ბარათშიც, რომელიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს გაეზარდა. ხელოვნების სკოლის დირექტორად თანამდებობას ახალი კადრი გასული კვირის ოთხშაბათს წარუდგინეს. სკოლის დირექტორის თანამდებობას ამჟამად დავი ელისაშვილი იკავებს, რომელიც მანამდე ამავე რაიონში ვაჟთა და გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლად ხელმძღვანელობდა და საკამო ნარმატიკაზეც მუშაობდა.



ხელოვნების სკოლაში ამბობენ, რომ დირექტორის გადადგომის მიზეზებზე არაფერი იციან და მათაც მხოლოდ ის აუხსნეს, რომ კიკილაშვილი მეტი თავისუფალი დრო სჭირდება. სკოლის პედაგოგები „შირაქთან“ საუბრისას ახალი დირექტორის მიმართ კეთილგანწყობას არ მალავენ და მის კანდიდატურას მიესალმებიან. დღი ელისაშვილის პროფესიული განათლება, გამოცდილება და პიროვნული თვისებები სკოლის თანამშრომელთათვის საყურადღებო მისაღებად და მის კომპეტენციას ექვემდებარებიან არცაა იყენებს.

**მარიამ კიკილაშვილი:** „პედაგოგად რა თქმა უნდა დავრჩები და ჩემი საათები მექნება. უბრალოდ, ბოლო ხანს ვატყობდი, რომ ძალიან მჭირდებოდა თავისუფალი დრო. მინდა ჩემი ნაშრომები დავასრულო. რამდენიმე წელია, ვმუშაობ მასზე, მაგრამ სწორედ დირექტორობის გამო ვერ დავასრულე. გადაწყვიტე, რომ ამჯერად დრო გამოვიტყუო და მიხვდეთ ამ საქმეს. ამდენად, ამიერიდან მიხვდება პირად შემოქმედებას. სხვანაირად ნამდვილად ვერ დავასრულებდი ჩემს საკმაოდ მოცულობით ნაშრომს. ჩემი გონებაც სულ სხვა რეჟიმში გადადიოდა და ნაკლებად შემოქმედებითი ვხდებოდი და მე ამისთვის განმარტობება და დრო მჭირდებოდა. მუსიკალურ-მეცნიერული ნამუშევრებია, რმელსაც ვერ არ დავასახელებ. რაც შეეხება გავრცელებულ ხმებს, თითქოს ფინანსური დარღვევების გამო წავედი, ნამდვილად ასეთი რამ არ ყოფილა, მხოლოდ ჩემი პირადი მიზეზი იყო.“

**დალი ელისაშვილის კომპეტენციას როგორ შეაფასებთ, რამდენად საიმედო ხელში ტოვებთ სკოლას?**

ახალ დირექტორს რაც შეეხება, სკოლა ნამდვილად საიმედო ხელშია.

ჩვენ ვგუფდები ვიყავით და ერთად დავამთავრეთ კონსერვატორია. კარგი მეგობრები ვიყავით. დალიმ ვერ კიდევ მისაღებ გამოცდებზე დაიმსახურა ქება. მაშინვე ბევრს ლაპარაკობდნენ მასზე, როგორც გამორჩეულად ნიჭიერ აბიტურიენტზე. ისე ბრწყინვალედ ჩააბარა, რომ ის გაათავისუფლეს მუსიკალური გამოცდებიდან და კონსერვატორიაში წაიღეს დიპლომი დაამთავრა. თავის დროზე, როცა ის დედოფლისწყაროში გამოთხოვდა და დასახლდა, ამ სკოლაში სწორედ თავისი თავმდაბლობის გამო არ შემოვიდა. როდესაც ნახა, რომ პროფესიონალები მუშაობდნენ და ვინმეს უნდა შესცვივებოდა საგუნდო საათებში, მან ეს არ ისურვა. ადგა და კულტურის სახლში გახსნა წრე და ასე გაატარა ათწლეულები. მოხარული ვარ, რომ ამჯერად ჩემი საქმის გამგრძელებელი ის იქნება და ძალიან დიდ იმედებს ვამყარებ მასზე“.

ხელოვნების სკოლის საფორტეპიანო განყოფილების უფროსი ლია ხაჩიკიანი ლია გაზეთ „შირაქთან“ საუბარში ამბობს, რომ ახალ დირექტორთან საქმიანი შეხვედრა უკვე ჰქონდა და ამით კმაყოფილია. ასეთი არჩევანის გამო ის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს მადლობას უხდის და ელისაშვილის წარმატებებზე საუბრობს.

„დალი ელისაშვილის შემოქმედებას კარგად ვიცნობ და ამ ხნის მანძილზე ძალიან წარმატებული იყო. წლების წინ, როცა მან დედოფლისწყაროში ანსამბლები ჩამოაყალიბა, იმხანად კულტურის სფეროში ბევრი არაფერი ხდებოდა. მხოლოდ ცეკვის ანსამბლები მოქმედებდნენ. მის ყველა ღონისძიებას დავსწრებივარ და მიხარია, რომ დედოფლისწყაროს

ჰყავს ასეთი პედაგოგი, რომელიც ყველაფერს ახერხებს. მას მთელი რაიონი აქვს, ბევრი ესწრება მის საღამოებს და ხშირად გვაოცებს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ რას შესძენს ჩვენს სკოლას, სულ რამდენიმე დღეა, რაც დირექტორად დაინიშნა და უკვე მქონდა პროფესიული შეხვედრა. გავაცანი ჩემი ფუნქციები და ვერ გეტყვით, როგორ გავრკვევა სკოლის სისტემაში, მაგრამ მჯერა, რომ იმხელა ერთუზიანობა და საქმისადმი სიყვარული აქვს, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება. მანამდე ახლო ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ უკვე გამოავლინა ბევრი დადებითი მხარე. უზომოდ თბილი და კეთილსინდისიერი ადამიანია. რაც მთავარია, თავის სფეროში დიდი პროფესიონალია, როგორც ორგანიზატორი წარმატებული და არ მგონია, მენეჯერად მუშაობა გაუჭირდეს. მითუმეტეს, რომ ჩვენს სკოლას ისეთი მოსწავლეები ჰყავს, რომელთაც სახელი გაითქვას საფორტეპიანო სფეროში. საკმაოდ წარმატებული ჰქონია სკოლას და იმედი გვაქვს ასევე გაგრძელდება. თუ გუნდურად შეიქმნება, მჯერა წარმატებული იქნება. პედაგოგებიც მაქტივობენ გვერდით დაუდგებიან. აქამდეც არაფერი დაგვიკლია და მომავალშიც ასე იქნება. ძალიან კონტაქტური პიროვნებაა, უზომოდ თავმდაბალია და ნათქვამია, ვინც თავმდაბალია, ის ყოველთვის ამაღლებული ადამიანი იქნება. თუკი ეს ცვლილება აუცილებელი იყო, ძალიან დიდი მადლობელი ვარ, რომ დალი ელისაშვილზე შეაჩერეს არჩევანი.“

ახლადინიშნული დირექტორი ამბობს, რომ მისთვის ეს შემთავაზება საკმაოდ საპასუხისმგებლო იყო, ამიტომაც

გადანწყვეტილებზე დიდხანს იფიქრა. სამომავლო გეგმებიდან საგუნდო განყოფილების ამოქმედებას გამოარჩევს და ფიქრობს, რომ შემოდგომაზე იდეის ხორცმესხმას მოახერხებს.

**დალი ელისაშვილი:** „დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და მადლობას ვუხდის ხელმძღვანელობას ამხელა ნდობა რომ გამომიცხადეს, შევეცდები ეს ნდობა გავამართლო. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, შემოდგომაზე საგუნდო განყოფილების გახსნას ვაპირებთ. ვფიქრობ, ასე უფრო მეტად შეისწავლიან სიმღერას. დაკვრა უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს და ბევრ მოზარდს არ ჰყოფნის ნებისყოფა. სიმღერა უფრო ბევრს შეუძლია და მარტივია. ვფიქრობ, რომ ეს სახელე საინტერესო იქნება ამ სკოლისთვის. თავიდან დავექცემი, ამელო თუ არა ეს პასუხისმგებლობა. შემდეგ გადაწყვიტე, რომ ჩემი ნიჭი და გამოცდილება რაიონს მოვახმარო. ვეცდები, მომავალ თაობას შევაყვარო მუსიკა, სიმღერა. იმედი მაქვს სკოლის პედაგოგები გვერდით დამიდგებიან. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ პირველივე შეხვედრაზე საკმაოდ თბილი დახვედრა მომიწყო და მხარდაჭერა ვიგრძენი. ამ შეხვედრამ ძალიან გამახარა და დიდი სტიმული მომცა. ძალღონეს არ დავიშურებ, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერი იყოს. მთავარი სამიზნე შემოდგომაა, როცა ახალი განყოფილების დამატებას ვაპირებთ. ჩემთვის ეს სკოლა ახლობელია, მანამდეც საკმაოდ წარმატებული კერა იყო და მინდა მის განვითარებაში ჩემი წვლილი შევიტანიო“.

ლია მარტყოფლიშვილი

# საქველმოქმედო აქცია სათნოების სახლში

რამდენიმე წლის წინ დედოფლისწყარო ერთერთი პირველი მუნიციპალიტეტი იყო, სადაც საქართველოს სხვა რამდენიმე ქალაქთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული იდეა“ დაფუძნდა. იმხანად, იდეის ავტორს, გამგეობის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მაშინდელ სპეციალისტს თეა ლეკაშვილს სწამდა, რომ „ახალგაზრდული იდეა“ წარმატებული გახდებოდა და მშობლიური რაიონისთვის ბევრი რამის გაკეთებას შეძლებდა. 2007 წელს

დედოფლისწყაროში საინიციატივო ვგუფი „ახალგაზრდული იდეის“ პირველი ნაკადი შეიკრიბა და მუშაობას შეუდგინა. მალე მსურველთა რიცხვი მოსალოდნელზე მეტად გაიზარდა.

ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავად დაეწერათ პროექტები, კონკურსის გავლის შემდეგ მოწოდება დაემსახურებინათ და მიეღოთ მცირე საგრანტო დაფინანსება. აქტივობების ძირითადი დამფინანსებელი წლების მანძილზე ევროპის ფონდია. გარანტირებული სპონსორი კი ახალგაზრდების მოტივაციის წყაროა.

გასულ წელს დედოფლისწყაროში სწორედ ახალგაზრდების ინიციატივით სოციალური კარადა „გაიღე-მიღე“ გაიხსნა. მსურველებს შეეძლოთ ტანსაცმელი ან საჭირო ნივთები დაეტოვებინათ,

რომელსაც სოციალურად დაუცველი მოქალაქეები გაიტანდნენ. იდეა ამჯერადაც წარმატებული აღმოჩნდა და მარშან მასში ბევრი ადამიანი ჩაერთო. წელსაც სოციალური კარადა სათნოების სახლის ტერიტორიაზე განთავსდა, რადგან სოციალურად დაუცველთა ძირითადი ნაკადი თავს აქ იყრის. ახალგაზრდებმა ძირითადად ტანსაცმელი მიიტანეს და მხარდაჭერა გამოხატეს, სხვებსაც აქტიურობისკენ მოუწოდეს.

„დღესაც მორიგი მოხალისეობრივი აქტივობა ჩავატარეთ, მსურველებმა მოიტანეს ტანსაცმელი, რომელსაც აღარ იყენებდნენ. სათნოების სახლის ხელმძღვანელი გვერდით დაგვიდგა, ფართი გამოგვიყო და როგორც წახეთ, ბევრი მსურველი გამოჩნდა და საკმაოდ ხალხმრავლობა იყო. მედნიერები ვართ, რომ ამხელა გამოხმაურება ჰქონდა და ასეთ აქციებს სამომავლოდაც ჩავატარებთ.“ - აღნიშნავს „ახალგაზრდული იდეის“ წევრი სოფიო ჯაშაიანიშვილი.

„ასეთი და სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციები სათნოების სახლში ხშირად ტარდება. ყოველთვის აქტიურობს ახალგაზრდა თაობა რომლითაც ჩვენც და ბუნებრივად კმაყოფილები ვართ. ამისათვის ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ახალგაზრდებს, ასეთი საქველმოქმედო აქ-

ტივობების ჩატარების ხალისი ყოველთვის ჰქონოდათ, სიბრაულის გრძობა ჰქონოდათ გაჭირვებულების მიმართ, რომ გვერდით დაუდგნენ და მზრუნველობა გამოხატონ მათ მიმართ.“ - ამბობს სათნოების სახლის დირექტორი მარინა ტყეშელაშვილი.

„მეტი შეიღოს დედა ვარ, მუშაობ ახლან და ვაკრძალე, ორმოცი წინა კვირას გადავუხადე. ბოლო ხანს ჩემი ცხოვრება უკან უკან წავიდა. შემდეგ სახლიც დაკარგე და ღია ცის ქვეშ ვცხოვრობ. სოციალური დახმარება მოხსნილი მაქვს და ძალიან უიმედოდ ვარ. ძალიან მიჭირს და დღეს აქ მოვედი, რომ ტანსაცმელი წავიღო. შევარჩიე თბილი ტანსამოსი და ძალიან დიდი მადლობა ორგანიზატორებს ამ თანადგომისთვის. პირადობის მოწოდება დაკარგული მაქვს და ვერ ვახერხებ სახელმწიფოსგან სარგებლის მიღებას. - ამბობს სოციალურად დაუცველი ლეონიდა ნიკაშვილი.

„უკვე მეთავე წელია, მცირე საგრანტო პროექტებით არაერთი აქტივობა განხორციელდა დედოფლისწყაროშიც და მის სოფლებშიც. როგორც დასაწყისში გაუხეხეთ, დედოფლისწყარო იმ პირველ ჩამონათვალში ფიგურირებდა, რომლებშიც ეს პროექტები დაინიშნა. როგორც ევროპის ფონდის

(გაგრძელება გვ.8)



# შემოდინდა სიკვდილი ცელით...

„თოვლა და თბილისს ეშურა თალხი, დუმა სიონი და დუმა ხალხი“ – ესა შეაფასა მიოცე საუქუნის 80-იან წლებში კოლხე ნადირაქი 1921 წლის 25 თებერვლი, საქართველოს გასაგვარების დღე. 80-11 არმიის საქართველოში შემოსვლას, რომორც დანაგრავილ ქალას, რომორც საქართველოს თავისუფლებისა და სხელმწიფობეობის დასაგვარებას არაერთი ძარბთვილი ჰოიბი გამოეხავა. ვ. რუხაქის აზრით, ძვიყანა ხელში ჩაუვარლათ სისხლისმსკილ „გვირახს“ და ასეთ ფონზე ჰოიბი სვამს შიგარჩუნებულ შიქიტსებას: „თავისუფლების ოგოლ საფლავს ვინ დაიტვირახს?“. ალ. აზაშვილი კი კომუნისტებს „გავფრთიან გველავს“ უწოდებს და გიქიტხველს მიანიწნავს იმასაც, რომ ახალი ცნომრება კი არა, სიგნალე დაიძრე საქართველოს ცაზე: „დღეს სვავა ჩვინი ჰარი, დაცვალვოცვა და აოიხი“ – ამ სიტყვიტით ეტიფროულად მიგვანიწნე ისიც, რომ დასრულდა რომანტიკისა და ლოცვის დრო.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადწყვეტილება მიიღო.

რუსეთის წითელი არმია ჩვენს ქვეყანაში 12 თებერვალს შემოიჭრა. რუსეთის მე-11 არმიის ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან აღუდგნენ. ძირითადი ბრძოლები კოჯორისა და ტაბახმელას მიდამოებში გაიმართა.

მე-11 არმიის ოუნკერებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ ერთხანს კიდევ უკუაგდეს მტერი. თუმცა განახლებული შეტაკებების შედეგად ოუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში მოხალისე ნასული, პოეტ კონსტანტინე მაყაშვილის 20 წლის ქალიშვილი მარი მაყაშვილიც დაიღუპა. ის ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში.

23 თებერვალს კოჯორისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა საქართველოს დედაქალაქი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ქვეყანამ სუვერენიტეტი დაკარგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში

დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. მებრძოლ ოუნკერებს სამშობლო არასოდეს დაუტოვებიათ.

კოჯორის მახლობლად გამორულად დაღუპული ოუნკერები დიდი პატივით დაკრძალეს ეკლესიის ეზოში. იქ, სადაც ამჟამად საქართველოს პარლამენტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული ტაძარი კი (აგებული 1897 წ.) 1930 წელს კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის შედეგად დაანგრეს.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც ავალეს მთავრობას ყოველ 25 თებერვალს, ასეულ ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, რომლებიც „კომუნისტურმა საოკუპაციო რეჟიმმა პოლიტიკური წინით სიცოცხლეს გამოასალმა“, დაუმვას სახელმწიფო დროები და გამოცხადდეს წუთიერი დღე.

25 თებერვალს საზეიმო ღონისძიებები შეზღუდულია. მართლმადიდებლურ ტაძრებში კი გმირების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები სრულდება.



# 23 თებერვალი ქართველ იუნკერთა ხსოვნის დღეა

23 თებერვალს საქართველოში იუნკერთა ხსოვნის დღე აღინიშნება.

ამ დღეს პატივს მიაგებენ 1921 წლის 23 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ ბრძოლაში დაღუპულ ახალგაზრდა ოუნკერებს. 1919 წელს შექმნილი სამხედრო სკოლის ოუნკერები ისტორიაში სწორედ 1921 წლის თებერვლის ბრძოლების შემდეგ შევიდნენ. წელს ამ ბრძოლიდან 96 წელი გავიდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადწყვეტილება მიიღო.

რუსეთის წითელი არმია საქართველოში 1921 წლის 12 თებერვალს შემოიჭრა. დამპყრობელთან ყველაზე მძაფრი ბრძოლები კოჯორისა და ტაბახმელას მიდამოებში გაიმართა, მე-11 არმიის ქართული ჯართან, სახალხო გვარდიასთან და და მოხალისეებთან ერთად დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ოუნკერებმა. მათ ერთხანს კიდევ უკუაგდეს მტერი. თუმცა განახლებული შეტაკებების შედეგად ოუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში დაიღუპა პოეტ კონსტანტინე მაყაშვილის 20 წლის ქალიშვილი მარი მაყაშვილიც, ის ბრძოლის ველზე მედდად მუშაობდა და ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში.

და და ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში.

23 თებერვალს კოჯორისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

კოჯორის მახლობლად გამორულად დაღუპული იუნკერები ეკლესიის ეზოში დიდი პატივით დაკრძალეს.

1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირეების დარჩენილმა ქვეყანამ რუსეთის არმიას სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რუსეთმა საქართველოს დედაქალაქი დაიკავა და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

ტაძრის ადგილზე სადაც ოუნკერების საფლავები იყო ამჟამად საქართველოს პარლამენტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული ტაძარი 1930 წელს კომუნისტებმა დაანგრეს.

როგორ აფასებენ კომუნისტურ გადატრიალებას ქართველი ახალგაზრდები დღეს? გთავაზობთ ერთ-ერთი მათგანის აზრს, რომელიც ყველას დააფიქრებს და მიხვდებოდეს, რომ სამშობლოსათვის გაღებული სიცოცხლე არასოდესაა „უაზრო“... ქვეყნის დაცვა ყველას მოვალეობაა, გმირობა კი საუკეთესო მაგალითია მომავალი თაობისთვის.

**წმწნარ ყარაგვიანჯვილი** - 23 თებერვალი იუნკერთა ხსოვნის დღეა, 1921 წელს, მაშინ როცა იმდროინდელმა ხელისუფლებამ თბილისი დატოვა, სრულიად დაუცველი და



დაქალაქის დასაცავად ახალგაზრდა, სიცოცხლესა და თავისუფლებას მონყურებული ბიჭები დადგნენ. მიუხედავად მტრის წითელი არმიის რიცხოვნობისა, სამშობლოსთვის გულანთებულ ბიჭებს უკან არ დაუხევიათ და გამორულად ეკვეთნენ მტერს, კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში გამართულ ბრძოლებში მათ მოხერხეს და უკან დაახვედნენ 11-არმიას, მაგრამ განახლებულ შეტაკებებს ვერ გაუძლეს და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გამორულად დაეცნენ. მათი თავდადება მაგალითია, ჩემთვის,

თითოეული ჩემი თანატოლისთვის და იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც სამშობლო უპირველესია.

ტაბახმელას ფრონტზე სულისკვეთება იმდენად მაღალი იყო, რომ ბრძოლის ექსტაზში შესული ოუნკერი შალვა ერისთავი სანგრიდან ამოვიდა და მტრის თვალწინ ლეკური იცეკვა... სროლების ჩანყარებისას ქართული სანგრებიდან სიმღერის ხმა ესმოდა მოიერიშე მტერს, ეროვნული დროშა კი ჯერ კიდევ ამჟამად ფრიალებდა მრავალთა გმირთა სისხლით გაფლეთილ ქართულ მიწაზე.

# დებეშები, რომელთაც საქართველოს ბედი გადაწყვიტეს

პირველსავე სხდომაზე, რომელიც 16 თებერვალს შულავერშივე გაიმართა, რეგვიმმა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურს ვლადიმერ ლენინს დახმარების შესახებ თხოვნა გაუყვანა:

„საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც იმა მენშევიკების კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხის მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლი, აღფრთოვანებულ საღამს უგზავნის დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს. საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ სამი წლის მანძილზე ნასაზრდობემა მენშევიკების მთავრობამ შექმნა საკუთარი პოლიციური და სამხედრო აპარატი მშრომელთა დასათრავნავად. საერთაშორისო რეაქციის და ქართველი მენშევიკების კოალიციის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელები მოისუსტებდნენ და ყველა ცდა დაემხოთ მოძალადეთა უღელი, დამარცხებით მთავრდებოდა. მაგრამ ხალხის მასების უკანასკნელი აჯანყება ძღვეამოსილი აღმოჩნდა. საქართველოს მთავრობის დასახმარებლად ისწრაფიან ევროპის რეაქციის ძალები. გაერთიანებული შავი ლაშქრის დაწოლისთვის წინააღმდეგობის

განევა მხოლოდ შეერთებულ წითელსოციალისტურ ლაშქარს შეუძლია. ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არამარტო დიადიპროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდი მატერიალური შეძობებისთვის ქვეყანა არ დაგვეტოვებს ჩვენი უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთარესპუბლიკას.“

16 თებერვლიდან რუსეთმა საქართველოზე შეტევა რამდენიმე მიმართულებით დაიწყო. ბორჩალოს მარის გარდა, XI არმიამ საქართველოს საზღვარი წითელი ხიდიდან და ფილოს სარკინიგზო ხიდიდანაც გადალახა. კრემლი ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ითხოვდა. ორჯონიკიძე იძულებული იყო კრემლში მოხსენებითი დებეშები დღეში რამდენჯერმე გადაეცა:

სტალინი - ორჯონიკიძეს. „ცეკა მოითხოვს შეტევა რევოლუციურ ინფორმაციას ორჯონიკიძეზე. შენ კი უკვე ორი დღეა ცნობას არ იძლევი. ცეკა მოითხოვს დირექტივის შესრულებას. ამ წუთშივე მოგვეცი ცნობა აჯანყებულთა მიღწევების შესახებ. საჭიროა დააჩქაროთ ქალაქის აღება.“

„17 თებერვალი 1921 წ. ორჯონიკიძე - სტალინს. ფილოსიდან წითელი არმიის დიდებული მწყობრი რიგები მოსახლეობისა და აჯანყებულებთა აღტაცებულ მისალმებებში გადავიდნენ მტკვარზე. ყველაგან იმართება ხალხმრავალი მიტინგები და მანიფესტაციები წითელი არმიის პატივსაცემად. აჯანყებულები თვითონვე გადადიან წითელი არმიის სამხედრო ნაწილში, რომელიც აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე დგას.“

„18 თებერვალი 1921 წ. ორჯონიკიძე - სტალინს. „ჩვენ მივიღეთ ფრიად დამნიშვნელოვანი ცნობები, შიშნითა და საქართველოს მთავრობის ძალადობით განამებული საქართველოს მშრომელები აჯანყდნენ ბურჟუაზიის აღვირახსნილი ღრეობის წინააღმდეგ... და მძლავრი ნიღვარივით დაიდრნენ თბილისისაკენ... და ახლა წითელი ნიღვარი უახლოვდება თბილისს, ბურჟუაზიის ღრეობის ამ საძულველ კერას. თბილისის საათები დათვლილია, შესაძლოა ამ წუთს თბილისის თავზე უკვე ფრიალებს პროლეტარიატის დიქტატურის წითელი დროშა.“

ნოე ყორდანისა დიდი მცდელობის მიუხედავად, რუსეთის კომუნისტურ ხელისუფლებასთან ომის დაწყების მიზეზების დადგენა ვერ მოხერხდა:

21 თებერვალი 1921 წელი. „ყორდანია - ჩიჩერინს: რას ითხოვთ ჩვენგან? გვაცნობეთ ის მიზეზები, რომლის გამოც დაიწყეთ ომი ჩვენს წინააღმდეგ. შესაძლოა ჩვენ შევეძლოთ სისხლისღვრის გარეშე მოლაპარაკება.“

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ყორდანისა ეს დებეშა პასუხის გარეშე დატოვა.

1921 წლის 24 თებერვალს თბილისს ალყის საფრთხე შეექმნა. ასეთ ვითარებაში მთავრობამ ქალაქის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დღეს 25 თებერვალს 12 საათსა და 15 წუთზე, კოჯორის გზიდან საქართველოს დედაქალაქში XI არმიის მონიანვე ნაწილები გამოიწმინდნენ. იმავე დღეს ბაქოდან სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვში ცნობილი დებეშა გაავრცავა: 25 თებერვალი 1921 წელი. „ორჯონიკიძე - ლენინს, სტალინს. ტფილისზე წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“







# საბავშვო კროსვორდი

## ქვიზის საათი

# სამკველმოქმედო აქცია

## სათნობის სახლში

### (მესამე გვერდიდან)

ახალგაზრდული პროგრამების დირექტორმა მარიამ ქობალიამ განუთქმვა „შირაქს“ განუცხადდა, სოციალური მენარმობას და ახალგაზრდულ იდეებს ისინი 2007 წლიდან აფინანსებენ და თემურ პროექტებს ახორციელებენ. საწყის ეტაპზე ოთხ მუნიციპალიტეტში (სადაც, თუმცა იმდენად ნარმატული აღმოჩნდა, თითქმის ყველა ქალაქი მოიცავს).

მარიამ ქობალია: „მიზანი ის იყო, რომ თავდაპირველად ისეთ რაიონებში დაგვეწყო მუშაობა, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ყველაზე მეტად პასიური იყო და არასამთავრობო სექტორის აქტივობები ნაკლებად ხორციელდებოდა. ამ პრინციპით შევარჩიეთ ცალკეული მუნიციპალიტეტები. ერთერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ისიც, რომ დასახლებული იყოს აუცილებლად ეთნიკური უმცირესობებით. ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთის მხრივ ახალგაზრდების გააქტიურებას და მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩაბმას ხელი შევუწყობთ, მეორეს მხრივ მათ თავადვე შეძლონ თანატოლების მოზიდვა და ერთობლივი მუშაობა. სხვა ქალაქების მსგავსად დედოფლისწყაროშიც როდესაც დაიწყო მუშაობა, ბევრი სექტიურად განეყო, ეჭვობდნენ, რამდენად შეძლებდნენ ახალგაზრდები ამხელა სირთულეების დაძლევას და პროექტების მართვას. მაგრამ ჩვენი პრინციპული მიდგომაა, რომ ყველაფერს აკეთებდნენ თავად ეს ახალგაზრდები. შემდეგ დამფინანსებელთან ანგარიშგებასაც თავად ახდენენ. ჩვენ ჩამოვყალიბეთ ახალგაზრდული კომიტეტები ქალაქებში, რომლებიც 16-დან 21 წლამდე ათამდე ახალგაზრდას აერთიანებს. პირველ ეტაპზე მათ დედაქალაქში უტარდებოდა ტრენინგების კურსი, როგორ დაწერიონ პროექტი, როგორ მართონ გრანტები, ჩატარონ ტრენინგი თანატოლებისთვის და ა.შ. ისწავლონ პრეზენტაციის მოწყობა და მიეჩვენა საზოგადოებასთან ურთიერთობას. ისინი სოფლებში თავად ატარებენ გამოკითხვას, რა საჭიროება აქვს ადგილობრივ თემს, შემდეგ გამოკვეთავენ პრიორიტეტს და ეს კომიტეტი თავადვე აცხადებს საგრანტო კონკურსს თანატოლებისთვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი თავადვე შეარჩივეს საუკეთესოს და თავად გამოავლინენ გამორჩეულ პროექტებს რომელსაც დაფინანსება გადაეცემა. რამდენიმე თაობა გამოეუფილა და თუ წლების მიხედვით შევხვდებით, ვნახავთ, რომ შედარება არ არის და ყოველთადაც იზრდება მსურველთა რიცხვი. ვხედავთ, რომ „ახალგაზრდული იდეის“ წევრები სამაგალითოები გახდნენ დედოფლისწყაროში მცხოვრები სხვა ახალგაზრდებისთვის. საერთაშორისო კვლევები კი ყველთაგან იჩვენებს, რომ ნარმატული ადამიანები ისინი ხდებიან, ვინც ადრეული, სკოლის ასაკიდანვე ამგვარ აქტივობებში არიან ჩართულნი და საჭირო უნარჩვევებს გაცილებით მცირე ასაკში ეუფლებიან. ასე რომ, აქ მიღებული პრაქტიკული გამოცდილება

მათ ნარმატებს ცხოვრებაში ნამდვილად განაპირობებს. სწორედ ამ შესაძლებლობებს ვეძინო წლების მანძილზე“.

„ახალგაზრდულ იდეაში“ მიღებული გამოცდილების დადებით მხარეებზე საუბრობენ საინიციატივო ჯგუფის ამჟამინდელი წევრებიც. ისინი არ მალავენ, რომ კომპლექსების დაძლევა და საკუთარი თავის რეალიზება სწორედ ამ პროექტის დახმარებით შეძლეს.

„სანამ „ახალგაზრდული იდეის“ წევრი გავხდებოდი, მანამდე ორი პროექტი მქონდა დაწერილი და ორივე ნარმატებით განხორციელდა. შემდეგ ახალი წევრების შერჩევა გამოცხადდა, ზაფხულის მწველი მზის მოუხედავად გასაუბრებზე მივიფი. ოქტომბერში შემატყობინეს, რომ „ახალგაზრდული იდეის“ ლირსული წერი ვიყავი. შემდეგ დაიწყო სხვადასხვა ტრენინგებზე სიარული, ახალი ადამიანების გაცნობა, თანატოლებთან პოლემიკა სხვადასხვა საკითხზე, აზრების გაცვლა. ერთი წლის განმავლობაში, ანუ შარშან, ვიყავი „ახალგაზრდული იდეის“ პროგრამული დირექტორი. წელს კი ეს პასუხისმგებლობა სოციალურ სანარმოზე გადავიტანე. ეს პროგრამა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ყველა მხრივ. გულწრფელად რომ გითხრათ, მანამდე ჩაკეტილი ადამიანი ვიყავი, არ შემიძლო ჩემი თავის საზოგადოებაში რეალიზება. დღეს ჩემს ცხოვრებაში ეს პრობლემა აღარ არსებობს.

„ახალგაზრდული იდეის“ წევრობისას საშუალება მომეცა, შემეძინა ისეთი უნარჩვევები, რამაც განმავითარა პიროვნულად და ჩემს თემს გარკვეული კუთხით არამატერიალური სარგებელი მოუტანა. პროგრამაში მინაწილეობისას ასევე აქტიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მედიასთან. რაც, ერთგვარად, ძალიან კარგი გამოცდილებაა სკოლის ასაკში მოზარდისთვის. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო სოციალური სანარმო, რომელიც დედოფლისწყაროში პირველია და თანაც ახალგაზრდების მიერ დაარსებული. სანარმოს პროექტი მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხით, რომ უშუალოდ ურთიერთობა მქონდა ჩვენი რაიონის ბენეფიციარ მოსწავლეებთან. ამ ბავშვებთან მუშაობა დიდი ბედნიერებაა..

ჩვენი გუნდი ერთერთი გამორჩეული საქართველოს მასშტაბით. აუცილებლად ვაპირებ მომავალშიც ვიყო „ახალგაზრდული იდეის“ განვითარების აქტიური მონაწილე. ბედნიერი ვარ, რომ აღნიშნული პროგრამით საშუალება მომეცა ჩემი შესაძლებლობები უკეთ დამენახა და მცირედი წვლილი შემეტანა ჩემი კომიტეტის განვითარებაში.“ - განუცხადა „შირაქს“ სოფიო ჯუთურიშვილმა.

„ახალგაზრდული იდეა“ დედოფლისწყაროში არსებობის მეათე წელს აღნიშნავს. ამ წლების უკან კი ათეულობით თაობა და ასეულობით პროექტი განხორციელდა.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავთ!

### თიქო გვალოშვილს!

### აკაკი გუსაშვილს!

ჩვენო ძვირფასებო, გილოცავთ მეორე შვილის - ანის დაბადებას; გისურვებთ ბედნიერი და გახარებული მშობლები ყოფილიყავით ცხოვრებაში და მუდამ გეამაყეთ თქვენი აღზრდილი შვილებით. პატარა ანის კი ვუსურვებთ ყოველივე კარგს და ღვთის მფარველობას თავის დაიკო ნინისტან ერთად.

ააააზი, ბაბიბი, ბიბიბი და მამიდა.

### ეთერ ქართველიშვილს!

ბამარჯვების პროფ. აპოკალიფის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგიური კოლეჯის დირექტორის მამიას დაბადებას ულოცავს ისტორიის მასწავლებელ ეთერ ქართველიშვილს და უსურვებენ ულევ სიხარულსა და ჯანმრთელობას.

### ნონა ჯიბლაშვილს!

გილოცავთ შვილების ლეკვან ჯიბლაშვილის და ნინი ნასარიძე-ვილინის ბედნიერებას, ახლადდაქორწინებულებს ვუსურვებთ ცხოვრებაში ყველა სირთულის დაძლევას, გამრავლებას, უფლის ნებას და ბედნიერ თანაცხოვრებას!...

პატივისცემით დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ოზანის კულტურის დარბის თანამშრომელია.

### გულნარა ქორეიაშვილს!

ჩემთვის პატივსაცემ პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს, უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილების ადამიანს, სოფელ ოზანის ლირსულ მოქალაქეს, კარგ ქართველ ქალბატონს, თავდადებულ მეოჯახეს ბულნარა ქორეიაშვილს ვულოცავ დაბადებიდან 75 წლის იუბილეს. თქვენ მე მასწავლეთ როგორ უნდა ვიცხოვრო ლამაზად, როგორ ვიბრძოლო და მივიღო ის, რასაც ვიმსახურებ. მინდა დიდხანს იცოცხლოთ, იყოთ ჯანმრთელად და მხნედ, რათა კიდევ მრავალ თაობას მიეცეს თქვენს კეთილშობილებასთან ურთიერთობის საშუალება.

პატივისცემით, ლალი მისერიშვილი

### ყურადღება!

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციის მობილური (სამედიცინო) კლინიკა აგრძელებს პაციენტთა მიღებას. სოციალურად დაუცველ დედოფლისწყაროს მოსახლეობას მოემსახურებთან ექიმები, თერაპევტი (ოჯახის ექიმი) რადიოლოგი, კარდიოლოგი, ოფთალმოლოგი (თვალის ექიმი) გინეკოლოგი და ლაბორანტი.

მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ სოციალურად დაუცველის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (სოციალური სააგენტოდან) და მინიჭებული ქულების რაოდენობის შესახებ ცნობა.

ექიმთა მუშაობის გრაფიკი გამოკრულია ოფისის კარზეზე.

აღმინისტრაცია

### განაცხადი

რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი ხორნაბუჯი.

გადაუდებელი აუცილებლობის გამო (გარდაცვლილი დირექტორის ოთარ გონაშვილის შემცვლელის არჩევა, სამომავლო სამოქმედო გეგმის დასახვა) მოწვეული უნდა იქნას რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ (ს/კ 228521418) წარმომადგენელთა კრება, რომელიც ჩატარდება ქ.დედოფლისწყაროში, ცხრა ძმის ქუჩა №1-ში მიმდინარე წლის 3 მარტს, 12 საათზე. დღის წესრიგი:

- 1) რეგისტრირებულ კოოპერატივ „სამშობლოს“ დირექტორის არჩევა (მომხსენებელი ილია ნატროშვილი)
- 2) რეგისტრირებული კოოპერატივ „სამშობლოს“ მომავალი სამოქმედო გეგმის განსახვრა. (მომხსენებელი ილია ნატროშვილი).

წარმომადგენელთა კრების წევრების დასწრება სავალდებულოა.

დირექტორი: ილია ნატროშვილი.

ამინდი		დედოფლისწყარო				სხვა	
ორშაბათი 27.02 ღამე	სამშაბათი 28.02 ღამე	ოთხშაბათი 01.03 ღამე	ხუთშაბათი 02.03 ღამე	პარასკევი 03.03 ღამე	შაბათი 04.03 ღამე	კვირა 05.03 ღამე	
0°	-1°	5°	4°	3°	2°	5°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შილაშვილი რედაქტორი ნიკა გორაშვილი-პოპოვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლფია: ლალი მისერიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მეწევერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მეწევერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფირომანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	---	--	--